ვაკანსიის № 94135

პოზიციის დასახელება	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში სტაჟიორი
კონკურსის ტიპი	სტაჟირება
ორგანიზაცია	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	საფინანსო/საბიუჯეტო
განცხადების ბოლო ვადა	10.09.2025
თანამდებობრივი სარგო	438 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	წყალტუბო
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი

ფუნქციები

ა) ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ყოველდღიურ აღრიცხვა და შესაბამისი დამუშავება;
ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემის მეშვეობით რეგისტრაცია;
გ) ფინანსური დოკუმენტების შენახვაზე კონტროლი და დადგენილი წესით მათი არქივში ჩაბარება;
დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებაზე წინადადებებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	სტუდენტი
პროფესია	ფინანსები

საკონკურსო თემატიკა

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”
გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი’ (I-IV,VI, XIII თავები);
დ) საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ’’;
ე),,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბერის □42 დადგენილება;
ვ) საქართველოს კანონი ,, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი’’.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25
საკონტაქტო ტელეფონები	595085373
საკონტაქტო პირი	იზაბელა დოლაბერიძე

დამატებითი მოთხოვნები

სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
. იცის სახელმწიფო ენა;
. სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე საფეხურზე ან დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების პირველი ან მე-2 საფეხური 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში;
. შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმად განისაზღვროს სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრება (GPA 2.7-4.0 ან/და ქულათა სისტემა – 71-100 ქულის მაჩვენებელი) – გასაუბრებისას თანაბარი კანდიდატების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოთ უმაღლესი მოსწრების კანდიდატებს;

დამატებითი ინფორმაცია

ანაზღაურებადი სტაჟირების ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს

სტაჟირების მსურველმა პირმა უნდა წარადგინოს:
1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ინფორმაცია სწავლის საფეხურისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (აუცილებელია, კანდიდატმა hr.gov.ge-ის განათლების ველში მიუთითოს: საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესია და ქულათა საშუალო მაჩვენებელი ან GPA);
3. სამოტივაციო წერილი;

კანდიდატს - არ ევალება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის შესახებ ცნობის ან აკადემიური მოსწრების (ქულათა საშუალო მაჩვენებელი ან/და GPA) გამოთხოვა და hr.gov.ge-ზე ატვირთვა. აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვას აპლიკანტის თანხმობის საფუძველზე, განახორციელებს შესაბამისი ორგანიზაცია, აპლიკანტის მიერ მითითებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. მხოლოდ უცხოენოვანი დიპლომის შემთხვევაში, აუცილებელია, კანდიდატმა ატვირთოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
განაცხადის გამოგზავნით კანდიდატი ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება კონკურსის შესახებ შეტყობინებაში მოცემულ მოთხოვნებს, ფუნქციებსა და პირობებს. ასევე, ის თანახმაა, თავის განაცხადში მითითებული პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დამუშავდეს სტაჟიორის შერჩევის მიზნებით და ასევე, გამოთქვამს თანხმობას ამავე კონკურსის ფარგლებში კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიების/გადამოწმების თაობაზე.

პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:
- იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;
- იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;
- მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
- იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ იმავე საჯარო დაწესებულებაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

– გასაუბრებისას თანაბარი კანდიდატების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ უმაღლესი აკადემიური მოსწრების კანდიდატებს;

მნიშვნელოვანია, რომ იმ საჯარო დაწესებულებაში სტაჟირება, სადაც მუშაობა ითვლება საჯარო სამსახურად, ჩაითვლება საჯარო სამსახურის სტაჟში, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შემავალ საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირში სტაჟირება - საერთო სტაჟში/სამუშაო გამოცდილებაში.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

სტაჟირების მსურველი პირის შეფასებას განახორციელებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია, არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება